აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 103-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№59 (25.083) ხუთშაბათი, 8 - 9 ივნისი, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 8-13 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 20-25 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 18 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 761 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

თორნიკე რიჟვაძის ოფიციალური ვიზიტი – ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნაილი ხერთვისელი 27 48 93

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე ფლორიდის შტატის სენატორ ანა მარია როდრიგესს შეხვდა

შეხვედრაზე ქვეყნებს შორის არსებულ სტრატეგიულ ურთიერთთანამშრომლობას გაესვა ხაზი, ასევე, საუბარი შეეხო ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავებას.

„ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ფლორიდის შტატის სენატორ ანა მარია როდრიგესთან შეხვედრაზე, ქვეყნებს შორის არსებულ სტრატეგიულ თანამშრომლობაზე და ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავების პერსპექტივების შესახებ ვიმსჯელეთ. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილი გვაქვს მნიშვნელოვანი შეხვედრები საჯარო და ბიზნესსექტორის წარმომადგენლებთან.

ფლორიდა, მაიამი ტურიზმის და ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი წარმატებული მაგალითია. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია მათი გამოცდილების, თანამედროვე ტენდენციების გაზიარება და დამკვიდრება ჩვენს ქვეყანაში“, - განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

მთავრობის თავმჯდომარე მაიამი დეიდის პორტის დირექტორ ჰაიდი ვებს და ავიაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, მაიამის საერთაშორისო აეროპორტის დირექტორ რალფ ქიუთის შეხვედა. აჭარის მთავრობის დელეგაცია ადგილზე გაეცნო პორტის და აეროპორტის მუშაობას, სიახლეებსა და ახალ ტექნოლოგიებს. შეხვედრისას მხარეებმა გამოცდილების გაზიარებასა და სამომავლო თანამშრომლობაზე იმსჯელეს.

მნიშვნელოვანია მაიამის აეროპორტის გამოცდილებისა და სიახლეების გაზიარება, რომელიც ამერიკის ყველაზე დატვირთულ ლოკაციად ითვლება საერთაშორისო მგზავრების და საერთაშორისო ფრენების კუთხით. მსოფლიოს საკრუიზო დედაქალაქად წოდებულ მაიამის ყველაზე დიდი საკრუიზო გემების პორტი აქვს. მაიამი უძრავი ქონების 73-ე მსოფლიო კონგრესს და FIABCI World Prix d'Excellence Awards 2023-ის დაჯილდოებას მასპინძლობს, სადაც ბათუმის სტადიონი საჯარო ინფრასტრუქტურის კატეგორიაში საერთაშორისო ჯილდოზეა წარდგენილი.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე მსოფლიო სავაჭრო ცენტრის საბჭოს თავმჯდომარეს მენი მენსიას და ვიცე-პრეზიდენტ ელის ანკონას შეხვდა.

შეხვედრაზე სამომავლო პარტნიორობის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის და აჭარაში ტურიზმის სფეროს განვითარების შესახებ იმსჯელეს. მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ხელმძღვანელმა შეხვედრაზე ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ ისაუბრა და სამომავლო თანამშრომლობის მზაობა გამოთქვა.

კრიალოსა N იუსი

ეს არის ამ ბრუტალური, დამანგრეველი ომის ერთ-ერთი შედეგი, რომელსაც რუსეთი აწარმოებს უკრაინაში, ეს ახალი არ არის. კახოვკა გაგიკვირდათ, მაგრამ დღემდე განადგურებულია უკრაინის ტერიტორიის 20%, ქალაქები, სოფლები მიწასთან არის გასწორებული, - ასე გამოეხმაურა საქართველოს პრემიერ-მინისტრი კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის დაბომბვას. „მშვიდობას ალტერნატივა არ აქვს, ამიტომ ვითარების ესკალაციის ნაცვლად მხარეები უნდა დასხდნენ და ომის დასრულების შესახებ მოილაპარაკონ“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

* * *

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა, საფრანგეთში ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრა გამართა საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარე იაელ ბრაუნ-პივესთან. საუბარი შეეხო ქვეყნებს შორის ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას, მათ შორის, საპარლამენტო კავშირების, კულტურის, განათლების და ვაჭრობის მიმართულებებით. ხაზი გაესვა საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში საფრანგეთის მხარდაჭერის მნიშვნელობას. შალვა პაპუაშვილმა ისაუბრა საქართველოს პარლამენტის როლზე 12 რეკომენდაციის შესრულების პროცესში და მიმოიხილა, ამ მხრივ, საქართველოს პროგრესი.

* * *

ახალი პოლიტიკური ცენტრი შესაქმნელია არა პარტიების გადაჯგუფებით, არამედ ახალი ძალების შემომატებით - არჩევნების შემდეგ, მკვეთრად პროდასავლურ სახელისუფლებო კოალიციაში „ქართული ოცნების“ ადგილს ვერ ვხედავთ, - განაცხადა „ლელოს“ დეპუტატმა დავით უსუფაშვილმა. მისივე თქმით, ჯერჯერობით კონსულტაციები არავისთან მიმდინარეობს. „არჩევნების შემდეგ მრავალპარტიული კოალიციის შექმნა შესაძლებელია, ხოლო არჩევნებამდე მრავალპარტიული ბლოკის შექმნა მოქმედი კონსტიტუციით შეუძლებელია“, - დასძინა მან..

* * *

როგორი ხელისუფლებაც არ უნდა ჰყავდეს ქვეყანას, კანდიდატის სტატუსის მიღებას ქართველი ხალხი და ქვეყანა იმსახურებს, - განაცხადა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ანა წითლიძემ. როგორც მან აღნიშნა, ბრიუსელში, ევროპარლამენტში, ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების კომიტეტის სხდომაზე საქართველოს ხელისუფლებამ უნდა წარადგინოს, რა გააკეთა და რას აკეთებს 12-პუნქტიანი ვალდებულების შესასრულებლად. „საქართველოს მოქალაქეები დავიცავთ ჩვენი ქვეყნის ევროპულ მომავალს რუსული ხელისუფლებისგან! ჩვენ ვიმსახურებთ კანდიდატის სტატუსს!“ - განაცხადა ანა წითლიძემ.

მოამზადა
ია შველიძემ

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ პაველ ჰერჩინსკის უმასპინძლა

მართა იბერიელი 27 48 93

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე მერაბ ტურავამ ევროკავშირის ელჩს საქართველოში პაველ ჰერჩინსკის უმასპინძლა. ინფორმაცია ამის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლომ გაავრცელა

„ვიზიტს გაცნობითი ხასიათი ჰქონდა და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე მერაბ ტურავამ სტუმარს სასამართლოს ისტორია და უფლებამოსილებები გააცნო. შეხვედრაზე ისაუბრეს სასამართლო ხელისუფლების როლზე სახელმწიფოს ევროინტეგრაციის განხორციელების გზაზე, საქართველო-ევროკავშირს შორის ურთიერთობებსა და იმ ერთობლივ პროექტებზე, რომელიც ევროკავშირის მხარდაჭერითა და პარტნიორობით ხორციელდება. პაველ ჰერჩინსკიმ მხარდაჭერა გამოხატა საქართველოს ევროპული მისწრაფებების მიმართ და ევროპული პერსპექტივის მინიჭების თაობაზე“, - აღნიშნულია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ევროკავშირის ელჩი – უმაღლეს საბჭოში

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ ევროკავშირის ელჩს საქართველოში პაველ ჰერჩინსკის უმასპინძლა

საკანონმდებლო ორგანოს ინფორმაციით, გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე, რომელიც ელჩის აჭარაში პირველი ვიზიტის ფარგლებში შედგა, მხარეებმა ევროკავშირთან პარტნიორობის ზოგადი საკითხები განიხილეს.

ყურადღება გამახვილდა ჩვენს რეგიონში ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელებულ და მიმდინარე პროექტებზე, უმაღლეს საბჭოში ღია მმართველობის მიმართულებით განხორციელებულ რეფორმასა და საკანონმდებლო ორგანოს ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით გადადგმულ ნაბიჯებზე.

პაველ ჰერჩინსკიმ დავით გაბაიძეს მადლობა გადაუხადა გულთბილი მიღებისთვის და იმედი გამოთქვა, რომ ორმხრივი პარტნიორული ურთიერთობები სასიკეთოდ აისახება ჩვენი ქვეყნის მომავალზე.

ევროკავშირის ელჩი პაველ ჰერჩინსკი აჭარაში შეხვედრებს განაგრძობს.

საერთაშორისო სემინარი – ბათუმში

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

„ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაძლიერება და შესრულების მართვა“ - ამ სახელწოდების საერთაშორისო სემინარის გახსნას ბათუმში აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე პირველ მოადგილე მარი ზანაქიძესთან ერთად დაესწრო

შეხვედრაში დისტანციურად ჩაერთო და მონაწილეებს სიტყვით მიმართა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ თამარ გაბუნიამ.

სემინარში მონაწილეობენ Linked-ის ექვსი წევრი ქვეყნის - საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, მოლდოვის და უზბეკეთის წარმომადგენლები, ასევე პარტნიორები და საერთაშორისო ექსპერტები კუნძულ გავიდან.

- მოხარული ვარ, რომ იმუნიზაციის შედეგების გაუმჯობესებისათვის მიძღვნილ შეხვედრას ბათუმმა უმასპინძლა. სემინარის ფარგლებში, 6 სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელმა ერთმანეთს საკუთარი გამოცდილება, პრაქტიკული ცოდნა გაუზიარა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ყველა სახის ინფორმაცია, რომელიც სამედიცინო პერსონალის ყოველდღიურ საქმიანობას გააუმჯობესებს და ვაქცინაციის მაჩვენებელს კიდევ უფრო გაზრდის, - განაცხადა სიტყვით გამოსვლისას ნინო ნიჟარაძემ.

სემინარი Linked Immunisation Action Network-ის მიერ იყო ორგანიზებული და მას Results For Development-ი (აშშ), საერთაშორისო ფონდი კურაციო და Institute for Health Policy (შრი-ლანკა) ახორციელებდა.

მონაწილეებმა ორი დღის განმავლობაში ერთმანეთს ცოდნა და გამოცდილება გაუზიარეს, განიხილეს მენეჯერების როლი სხვადასხვა გარემოს შექმნაში, იმუნიზაციის ფორმალური სწავლება განათლების სხვადასხვა დონეზე.

- სემინარის ბოლოს, ქვეყნების გუნდებმა წარმოაჩინეს რამდენიმე პრაქტიკული მაგალითი ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული შესაბამისი გამოწვევების გადასაჭრელად, დასახვეწად და ადაპტაციისთვის. გაიმართა ვებინარებიც.

ხელოვნური კუნძულის მშენებლობისთვის „ამბასადორმა“ პროცედურა დაიწყო

მართა იბერიელი 27 48 93

ბათუმში ხელოვნური კუნძულის სამშენებლო სამუშაოები კომპანია „ამბასადორი ბათუმი აილენდმა“ ნაპირდამცავი ჯებირის მშენებლობით დაიწყო, რომელიც პროექტის მიხედვით, შემდგომში ერთ-ერთი ხელოვნური ნახევარკუნძული იქნება. მშენებლობის ნებართვის მიღებამდე კი კომპანია გზშ-ს (გარემოზე ზემოქმედების შეფასება) მოამზადებს, რისთვისაც გარემოს ეროვნულ სააგენტოს ე. წ. სკოპინგის განცხადებით მიმართა

სააგენტომ უნდა გასცეს დასკვნა, რაც „ამბასადორისთვის“ გზშ-ის ანგარიშის მომზადებისას სავალდებულო იქნება. სკოპინგი არის პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს გზშ-ისთვის მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალს და ამ ინფორმაციის გზშ-ის ანგარიშში ასახვის საშუალებებს.

„დუბაის პალმის კუნძულის მსგავსი, ღუზის ფორმის ხელოვნური კუნძულის მოწყობის პროექტის“ სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტის განხორციელება დაგეგმილია ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ოდისეი დიმიტრიადის ქუჩის და რკინიგზის სადგურის მიმდებარე საზღვაო აკვატორიაში. საპროექტო არეალის საერთო ფართობი 144,3 ჰექტარია, რომელზეც 108,5 ჰექტარი ფართობის ხელოვნური კუნძული მოეწყობა. ხელოვნური კუნძული შედგება ორი ხელოვნური ნახევარკუნძულისა და ერთი ხელოვნური კუნძულისგან. გარდა აღნიშნულისა, პროექტი ითვალისწინებს ორი დამცავი მოლის (აღმოსავლეთის და დასავლეთის) და ერთი ძირითადი სანაპირო დამცავი მოლის მოწყობას, რათა უზრუნველყოფილი იყოს ნახევარკუნძულების და კუნძულის ტალღის ზემოქმედებისგან დაცვა.

სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ პროექტის განხორციელების შემთხვევაში, შეიქმნება 108,5 ჰექტარი ფართობის, ქალაქის მჭიდროდ დასახლებული უბნებისაგან იზოლირებული, ახალი ტერიტორია. დოკუმენტში კომპანია, ასევე, ხაზს უსვამს, რომ „აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მდინარე ჭოროხის მიერ შემოტანილი მყარი ნატანის მკვეთრად შემცირების ფონზე, ინტენსიურად მიმდინარეობს სანაპირო ზოლის წარეცხვის პროცესი“.

ხელოვნური კუნძულის ტერიტორიას კომერციული, გასართობი, სპორტული, საგანმანათლებლო, რეკრეაციული, საცხოვრებელი და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად გამოიყენებენ.

„პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების რისკებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ზღვის ბიოლოგიური გარემოს საბინადრო, დაახლოებით, 108 ჰა ფართობის ჰაბიტატის მუდმივად დაკარგვა. მართალია, საპროექტო აკვატორიის გარკვეულ მონაკვეთზე აღინიშნება ფსკერული ნალექების ნავთობის ნახშირწყალბადებით ისტორიული დაბინძურება, მაგრამ აღნიშნული ფართობის ჰაბიტატის დაკარგვა მნიშვნელოვან ნეგატიურ ზემოქმედებად უნდა ჩაითვალოს. ზემოქმედების შემცირების მიზნით, გზშ-ს ფაზაზე შემუშავებული იქნება კონკრეტული შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებები“, - აღნიშნულია ანგარიშში.

იხ. მე-4 გვ.

აჭარაში პარტნიორი საჯარო სკოლების შესარჩევად კონკურსი გამოცხადდა

მართა იბერიელი 27 48 93

„თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი“ აჭარის რეგიონში დამატებით 10 პარტნიორი საჯარო სკოლის შესარჩევად კონკურსს აცხადებს. პროექტი - „დემოკრატიული ღირებულებების გაძლიერება სამოქალაქო ქსელის მეშვეობით აჭარაში“ ამერიკული ფონდის „ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის“ (NED) მიერაა დაფინანსებული.

არსებული ინფორმაციით, სკოლები შეირჩევა აჭარის ხუთ მუნიციპალიტეტში: ხულოში, შუახევში, ქედაში, ხელვაჩაურსა და ქობულეთში, თითოეული მუნიციპალიტეტიდან - 2 საჯარო სკოლა. შერჩეული სკოლის ბაზაზე შეიქმნება და გაძლიერდება მოქმედი სამოქალაქო კლუბი, რომლის წევრი მოსწავლეები და პედაგოგები ერთი წლის განმავლობაში თავიანთი იდეების განსახორციელებლად ორგანიზაციიდან სხვადასხვა ფინანსურ მხარდაჭერას მიიღებენ.

საზოგადოებაში ცნობადობის ამაღლებისთვის კლუბის წევრებს ჩაუტარდებათ 3-თვიანი ონლაინსწავლება სხვადასხვა თემასა და საკითხზე, მათ შორის, ადამიანის უფლებების მნიშვნელოვან მიმართულებებსა და მედიამასალების მომზადებაზე.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია: თითოეული შერჩეული სკოლისთვის 250$-ის ღირებულების საკანცელარიო ნივთების შეძენა და საჩუქრად გადაცემა; სკოლის წარმომადგენლების მიერ შერჩეულ თემებზე მოწვეული მომხსენებლების მონაწილეობით საჯარო დისკუსიის ჩატარება (ბიუჯეტი 170$); საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვა და განხორციელება (ბიუჯეტი 200$).

დაინტერესებულმა პირებმა 2023 წლის 30 ივნისის ჩათვლით უნდა შეავსონ სპეციალური კითხვარი, რომლის შევსება შეუძლია სკოლის დირექტორს ან სამოქალაქო განათლების პედაგოგს.

შემდეგ ეტაპზე, ინდივიდუალური გასაუბრების შედეგად შეირჩევა 10 გამარჯვებული სკოლა.

„თავისუფალ ჟურნალისტთა სახლმა“ 2022-2023 წლების განმავლობაში უკვე გააძლიერა 10 პარტნიორი სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბი. მსგავს სარგებელს მომავალში 10 სხვა სკოლა მიიღებს, ანუ, ამჯერად კონკურსში მონაწილეობას ვეღარ მიიღებენ ის სკოლები, რომლებიც პროექტში 2022-2023 წლებში მონაწილეობდნენ.

პაველ ჰერჩინსკი: საქართველომ უნდა მიიღოს კანდიდატის სტატუსი

ნანა აბულაძე 577 20 35 90

პარტნიორობის გაძლიერებისა და რეგიონული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ევროკავშირის ელჩი აჭარას სტუმრობს. პაველ ჰერჩინსკი ვიზიტის ფარგლებში, მონაწილეობას მიიღებს შეხვედრებსა და ღონისძიებებში, სადაც საუბარი დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგისა და თანამშრომლობის გაძლიერებას შეეხება

ევროკავშირის ელჩმა მედიასაშუალებებთან აჭარაში ვიზიტის მნიშვნელობაზე ისაუბრა. მან ასევე გააკეთა კომენტარი მედიის თავისუფლების აუცილებლობასა და თავის მოლოდინზე საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით:

- ბედნიერი ვარ, რომ აჭარაში და მის ულამაზეს ქალაქ ბათუმში ვიმყოფები. აქ რამდენიმე დღეს გავატარებთ. ჩვენ შევხვდით ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის სტუდენტებს, ლექტორ-მასწავლებლებს, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს. დაგეგმილი გვაქვს შეხვედრები წარმატებულ მეწარმეებთან, რომლებიც მნიშვნელოვან სტარტაპებს ახორციელებენ, ვეწვევით მუნიციპალიტეტებსაც. ძალიან დატვირთული და საინტერესო პროგრამა გვაქვს აჭარაში. ბედნიერი ვარ, რომ ვსტუმრობ რიგით მეორე ქალაქს საქართველოში. თქვენთვის ახლა უმნიშვნელოვანესი ეტაპია ევროინტეგრაციის გზაზე. კრიტიკულად მნიშვნელოვანია დიალოგი საქართველოსა და ევროკავშირის 27 ქვეყანას შორის. ჩვენ ღიად მივესალმებით და მხარს ვუჭერთ თქვენი ქვეყნის გაწევრიანებას ევროკავშირში. აქვე დავძენ, რომ საქართველოში ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლების ოფიციალური ვიზიტები არის ძალიან მნიშვნელოვანი, ეს დიალოგი არის აუცილებელი, რათა წევრმა ქვეყნებმა მიიღონ სწორი გადაწყვეტილება წლის ბოლოს და ამით საქართველო მიუახლოვდეს ევროკავშირს. რაც შეეხება ხელისუფლების მიერ 12 რეკომენდაციის შესრულებას, როგორც იცით, ამ მომენტში ევროკომისია ამზადებს ყველაზე დიდ ანგარიშს და რეკომენდაციებს საქართველოს შესახებ, რომელიც ოქტომბერში გამოქვეყნდება. ევროკავშირის 27 წევრი ქვეყნის ლიდერები, ასევე, პრეზიდენტები და მაღალი პოლიტიკური რანგის ლიდერები წლის ბოლოს შეიკრიბებიან და გადაწყვეტენ რა იქნება მომდევნო ნაბიჯი საქართველოსთან მიმართებით.

ჩემი პირადი მოსაზრებით, საქართველომ უნდა მიიღოს კანდიდატის სტატუსი, მაგრამ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, წლის ბოლომდე დარჩენილ დროში 12 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მაქსიმალურ პროგრესს მიაღწიოს. მინდა ყურადღება გავამახვილო სიტყვისა და გამოხატვის, მედიის თავისუფლებაზე, რომელიც ერთ-ერთი ფუნდამენტია დემოკრატიული ქვეყნებისთვის. მედიის თავისუფლების საკითხი ერთ-ერთია 12 რეკომენდაციაში. ვიმედოვნებთ, ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ, მედია და საზოგადოება საქართველოში არის თავისუფალი, - განაცხადა ევროკავშირის ელჩმა საქართველოში პაველ ჰერჩინსკიმ.

8 ივნისს ევროკავშირის ელჩი ქედაში გაემგზავრება, სადაც ევროკლუბს გახსნის. დაგეგმილია ადგილობრივი საწარმოების მონახულებაც, რომლებიც ევროკავშირისა და სხვა დონორი ორგანიზაციების პროექტების ფარგლებში შეიქმნა და განვითარდა. პაველ ჰერჩინსკის ვიზიტი აჭარაში კიდევ ერთხელ ადასტურებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებულ ძლიერ და მზარდ პარტნიორობას.

უცხოეთი

ჩინეთი სერიოზულადაა შეშფოთებული ნოვა კახოვკის კაშხლის განადგურების გამო, - განაცხადა ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-სპიკერმა ვან ვენბინმა. ოფიციალური პეკინი იმედოვნებს, რომ ყველა მხარე უკრაინის კრიზისის პოლიტიკური გადაწყვეტის მიმართ ერთგული იქნება და იმუშავებს ვითარების დეესკალაციის ხელშესაწყობად. ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ყველა მხარეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის, ისევე როგორც მოქალაქეებისა და სამოქალაქო ობიექტების უსაფრთხოების დაცვისკენ მოუწოდა. ცნობისთვის: ოფიციალურმა კიევმა და მოსკოვმა კაშხლის აფეთქებაში ერთმანეთი დაადანაშაულეს. კრემლმა ინციდენტს გუშინ კიევის რეჟიმის მიერ განხორციელებული საბოტაჟის აქტი უწოდა. „ომის შემსწავლელი ინსტიტუტის“ განცხადებით, ჯერჯერობით არ უნახავთ ნათელი მტკიცებულებები, რა მოხდა კახოვკის ჰიდროელექტროსადგურზე 6 ივნისს, თეთრ სახლში კი აცხადებენ, რომ მომხდარს შეისწავლიან.

* * *

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ პოლონეთის 2019 წლის სასამართლო რეფორმა ევროკავშირის კანონმდებლობას არღვევს. 2019 წლის დეკემბრის რეფორმის თანახმად, იუსტიციის მინისტრს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნისა და გადაყენების უფლება ენიჭება, მოსამართლეებისთვის კანონით დადგენილი საპენსიო ასაკი კი უქმდება. „პოლონეთის მართლმსაჯულების რეფორმა არღვევს ევროკავშირის კანონმდებლობას. კანონის უზენაესობის ღირებულება ევროკავშირის თვითმყოფადობის განუყოფელი ნაწილია“, - ნათქვამია ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს განცხადებაში. პოლონეთის იუსტიციის მინისტრმა ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილებას ფარსი უწოდა. პოლონეთის სასამართლო რეფორმის გამო ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ევროკომისიამ მიმართა. სარჩელს მხარი დაუჭირეს ბელგიამ, ფინეთმა, დანიამ, შვედეთმა და ნიდერლანდებმა.

* * *

საპენსიო რეფორმის წინააღმდეგ საპროტესტო აქციებზე საფრანგეთის ქალაქებში 281 ათასი ადამიანი გამოვიდა. 15 აპრილს საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა ხელი მოაწერა კანონს საპენსიო რეფორმის შესახებ, 17 მარტს კი საპენსიო ასაკის გაზრდის შესახებ სადავო კანონი ეროვნულ ასამბლეაში კენჭისყრის გარეშე მიიღო, რამაც ქვეყნის მასშტაბით მასობრივი პროტესტი და გაფიცვები გამოიწვია - საფრანგეთში საპენსიო ასაკი 62-დან 64 წლამდე უნდა გაიზარდოს, ხოლო ამისთვის საჭირო სამუშაო სტაჟი 41,5-იდან 43 წლამდეა.

* * *

ირანის ახალი ამბების სააგენტო IRN-ს ინფორმაციით, ირანმა ადგილობრივი წარმოების პირველი ჰიპერბგერითი ბალისტიკური რაკეტა წარადგინა. მედიასაშუალება მის ფოტოებს ავრცელებს და წერს, რომ ახალ იარაღს Fattah უწოდეს. იარაღის გამოცდას ქვეყნის პრეზიდენტი იბრაჰიმ რაჰისი და ირანის რევოლუციური გვარდიის ელიტური კორპუსის მეთაურები ესწრებოდნენ. როგორც ცნობილია, ჰიპერბგერითი რაკეტის მოქმედების დიაპაზონი 1 400 კმ-ს შეადგენს.

მოამზადა
ია ფფელიძემ

შეხვედრა EDF-ის ვიცე-პრეზიდენტთან



საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ფრანგული ენერგოკომპანია EDF-ის ვიცე-პრეზიდენტს, საერთაშორისო დირექტორ ბეატრის ბუფონს შეხვდა.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა საქართველოში არსებულ ბიზნესგარემოზე. განიხილეს ქვეყნის პოტენციალი ენერგეტიკის სექტორში. აღინიშნა, რომ ამ მხრივ საქართველო განვითარების აქტიურ ფაზაშია.

პრემიერ-მინისტრმა ყურადღება გაამახვილა იმ კონკრეტულ ნაბიჯებზე, რომლებიც ენერგეტიკის სექტორის განვითარებისთვის იდგმება. ხაზი გაესვა თანამედროვე, გამჭვირვალე და კონკურენტუნარიანი ენერგეტიკული ბაზრის მნიშვნელობას.

სტუმარმა გამოთქვა საქართველოში განახლებადი ენერგიების სფეროში, ძირითადად, ჰიდროელექტროსადგურებში ინვესტირებისთვის მზადყოფნა, ასევე, დაინტერესდა ქარისა და მზის პროექტებით.

თავის მხრივ ირაკლი ღარიბაშვილმა ბეატრის ბუფონს ფრანგულ ენერგოკომპანიასთან საქართველოს მთავრობის თანამშრომლობის მზადყოფნა დაუდასტურა.

შეხვედრას საფრანგეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში შერაზ გასრი, ფრანგული ენერგოკომპანია EDF -ის ევრაზიის დირექტორი მარკ ჟირარდი, პროექტის ხელმძღვანელი სედრიკ ლავისიერი, საქართველოს მხრიდან კი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი ესწრებოდნენ.

ამირან გურიელიძე

უკრაინა

ზელენსკი: „ბუქარესტის ცხრიანის“ სამიტის მონაწილეების წინაშე სიტყვით გამოსვლის დროს განაცხადა. „სამწუხაროდ, წელიწადზე მეტია, რაც რუსეთი აკონტროლებს კაშხალსაც და მთლიანად კახოვკის ჰესს. მისი გარედან აფეთქება დაბომბვებით, ფიზიკურად შეუძლებელია. იგი დანაღმული იყო. დანაღმული სწორედ რუსი ოკუპანტების მიერ და მათ მიერ აფეთქებული“, - განაცხადა ზელენსკიმ. უკრაინის პრეზიდენტის თქმით, რუსეთის ხელმძღვანელებს იმედი აქვთ, რომ ევროპა სისუსტეს გამოიჩენს და „სისუსტე ტერორისტების მთავარი იმედი და ფსონია“. „მეტი აღარანაირი სისუსტე ევროპაში აგრესიის ბოროტების მიმართ! მეტი აღარანაირი გაურკვევლობა ევროპაში უსაფრთხოების პერსპექტივების მიმართ! ყოველი ჩვენი ნაბიჯი, ყოველი ჩვენი გადაწყვეტილება, ყოველი ჩვენი სამიტი რუსული ტერორისგან ჩვენს დაცვას უნდა აძლიერებდეს. და უდავოდ, ნატოს ვილნიუსის სამიტმა ეს უნდა უზრუნველყოს“, - განაცხადა ზელენსკიმ.

* * *

რუსეთის მიერ კახოვკის ჰესის კაშხლის აფეთქებასთან დაკავშირებით უკრაინა გაეროს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომის ჩანიშვნას ითხოვს. ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ უკრაინის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს საგანგებო თათბირის შემდეგ განაცხადა. მისი თქმით შეხვედრაზე „საერთაშორისო ზომებისა და უსაფრთხოების ზომების კომპლექტი“ შეთანხმდა, რათა რუსეთი ამ ტერაქტისთვის პასუხისმგებლობას მიეცეს.

* * *

რუსეთის მიერ კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის განადგურება არის ტერორისტული აქტი უკრაინის კრიტიკული ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ, რომლის მიზანია მაქსიმალური ნგრევისა და მსხვერპლის გამოწვევა, - ამის შესახებ უკრაინის მუდმივმა წარმომადგენელმა სერჰი კისლიცამ გაეროში, უშიშროების საბჭოს სხდომაზე განაცხადა. „ეს არის ტერორისტული აქტი უკრაინის კრიტიკული ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ, რომლის მიზანია, რაც შეიძლება მეტი მსხვერპლისა და ზარალის მიყენება დატბორილი მიწის ტაქტიკის გამოყენებით, რუსმა ოკუპანტებმა ფაქტობრივად აღიარეს, რომ ოკუპირებული ტერიტორია მათ არ ეკუთვნით“, - აღნიშნა კისლიცამ. მისი თქმით, რუსეთი ცრუობს, როდესაც აცხადებს, თითქოს კაშხალი უკრაინამ ააფეთქა. „ჩვენ ვხედავთ იგივე ტაქტიკას - მსხვერპლს საკუთარ დანაშაულში ადანაშაულებენ. მციირე შანსია, რომ ქვეყანამ, რომელმაც უარყო თავისი ომის დანაშაულებები მარიუპოლში, ბუჩაში, იზიუმში, ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურზე, აღიაროს პასუხისმგებლობა დღევანდელ კატასტროფაზე“, - აღნიშნა გაეროში უკრაინის ელჩმა.

* * *

ნოვა კახოვკის კაშხლის კოლაფსის შემდეგ, 1400-ზე მეტი ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა ხერსონის რეგიონში, - ამის შესახებ ხერსონის რეგიონული სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ოლექსანდრ პროკუდინმა განაცხადა. მისივე თქმით, 1800-ზე მეტი სახლი მდინარე დნეპრის დასავლეთ სანაპიროზე დაიტბორა. პროკუდინის განცხადებითვე, წყლის დონე მოსალოდნელია, რომ შემდეგ 20 საათში კიდევ ერთი მეტრით გაიზარდოს. „დატბორვის ინტენსივობა მციირდება, თუმცა, კაშხლის მნიშვნელოვანი დაზიანების გამო, წყალი დინებას გააგრძელებს“, - აღნიშნა პროკუდინმა.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

«შუახევში კერძო ბაგა-ბაღი არ გვაქვს და არც მისი გახსნის მოლოდინი»

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

შუახევის ბაგა-ბაღების გაერთიანებამ მართვის სტრატეგია შეიმუშავა. დოკუმენტის მნიშვნელობასა და გაერთიანებაში მიმდინარე პროცესებზე გვესაუბრება გაერთიანების დირექტორი ნათელა გოგიტიძე

- ბაგა-ბაღის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის შექმნას დიდი მნიშვნელობა აქვს. მისი მიზანია დაწესებულების მართვის სისტემის გაუმჯობესება, მომსახურების განვითარება, სკოლამდელი აღზრდის კერაში ბავშვის უფლებებსა და ინტერესებზე ორიენტირებული გარემოს შექმნა. მრავალი საკანონმდებლო აქტის, თუნდაც სკოლამდელი აღზრდის სისტემის მართვაზე შექმნილი დოკუმენტების სიტუაციურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ბაგა-ბაღების მართვაში ისევ პრობლემებია. ხარვეზების გამოსასწორებლად, შუახევის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის აღმასრულებელი სტრუქტურის ინიციატივით, შევიმუშავეთ ბაგა-ბაღების მართვის სტრატეგიული დოკუმენტი. იგი იქმნებოდა სამუშაო შეხვედრების, ანალიზის, ქართული და უცხოური ლიტერატურის დამუშავების პროცესში, დოკუმენტი 11 თავისგან შედგება. მასში წარმოდგენილია ბაგა-ბაღის მართვის მოდელი და პრინციპები, ბავშვის მიღების პროცედურები, ბავშვის განვითარებისა და ჯანმრთელობისთვის საჭირო დოკუმენტაცია, კვება, ჰიგიენა, ჯანმრთელობის დაცვა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ინკლუზია, ოჯახის მონაწილეობა სააღმზრდელო პროცესში, ფიზიკური და სოციალური გარემო. ბოლო თავში მოცემულია დოკუმენტის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების სტრატეგიები. ყველა საქმიანობას საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წარვმართავთ.

- დასაქმებულთა უფლებებზე რას იტყვით?

- დოკუმენტში მათი უფლებები და ვალდებულებებიცაა გაწერილი. დასაქმებულები გაწეული შრომის შესაბამის ანაზღაურებას მიიღებენ, ისარგებლებენ შვებულებით. კვირაში ხუთ დღეს იმუშავებენ. განისაზღვრა 8-საათიანი სამუშაო დრო, ერთსაათიანი შესვენებით. დასაქმებულები ვალდებულნი არიან ბავშვების მშობლებთან, მოქალაქეებთან ურთიერთობისას იყვნენ თავაზიანები, გაუწიონ მათ საქმიანი კონსულტაცია. ბაგა-ბაღის თანამშრომელს არა აქვს უფლება: სიტყვიერად დაამციროს, შეურაცხყოფა მიაყენოს აღსაზრდელს ან მისი ოჯახის წევრს, დასაჯოს ან დაამციროს აღსაზრდელი უნებლიე ბიოლოგიური მოთხოვნის, ტანსაცმლის დასვრის ან სხვა მსგავს შემთხვევებში, დაემუქროს ფიზიკური დასჯით, დაარტყას ხელი, შეაჯანჯღაროს, უხეშად შეეხოს, მასთან საუბრისას სალანძღავი სიტყვები იხმაროს. პედაგოგიური პერსონალი, რომელიც ბავშვებთან მუშაობს, ორიენტირებული უნდა იყოს აღსაზრდელის ინდივიდუალურ საჭიროებებზე, რესურსებისა და ძლიერი მხარეების წახალისებაზე. დაინტერესებული პირი დოკუმენტში ნახავს პერსონალის სამუშაოზე მიღების, სამსახურიდან გათავისუფლების პირობებს. სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი აღსაზრდელის ბაგა-ბაღში მიღების პროცედურებსა და მისი განვითარებისთვის საჭირო დოკუმენტაციის ნუსხას. დაცული უნდა იყოს ოჯახის ინტერესები. საქართველოს მოქალაქეების შვილებთან ერთად, უფლებას ვიტოვებთ, მივიღოთ ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა შვილები.

- ბაგა-ბაღებთან დაკავშირებით შუახევში არსებულ ვითარებაზე რას გვეტყვით?

- ამ ეტაპზე შუახევის მუნიციპალიტეტში 14 ბაგა-ბაღი და 9 ალტერნატიული ბაღი გვაქვს. 2012 წლიდან მოყოლებული, სკოლამდელი დაწესებულებები ამოქმედდა ხიჭაურის დასახლებაში, ჯაბნიძეებში, შუბანში, ფურტიოში, ბუთურაულში, ბარათაულში, ხაბელაშვილებში, ჩანჩხალოში, წყაროთა-ჭალაში. დღვანში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შენობა აიგო და ინვენტარით აღიჭურვა. იგი მალე ბავშვებსაც მიიღებს. მახალაკიძეების ბაგა-ბაღი ხის შენობაში, თანაც სოფლისთვის ერთობ მიუწვდომელ ტერიტორიაზეა. შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტიდან საჭირო თანხა გამოიყო ახალი შენობის ასაგებად. კონკურსში გამარჯვებული კომპანიის უსულგულო დამოკიდებულება რომ არა, ამ სოფელს ბაღი უკვე ექნებოდა. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ სათანადო ზომები გაატარა და სამუშაოებიც დაიწყება. ბაგა-ბაღის მშენებლობა ნენიაშიც იწყება. ამ სოფელში პირველი ალტერნატიული ბაღი გავხსენით და გაამართლა. მსგავსი ბაღები მოქმედებს კარაპეტში, მაწყვალთაში, ნაღვარევში, ოლადაურში, კვიახიძეებში, გორში, დღვანში, ქიძინიძეებში, ნენიაში. სკოლამდელ დაწესებულებებში 236 თანამშრომელია დასაქმებული, რომელთაგან 14 მენეჯერია, 39 აღმზრდელი, 31 აღმზრდელის თანაშემწე, 14 მუსიკის მასწავლებელი. სპეცმასწავლებელთან ერთად, უკვე ინგლისური ენის მასწავლებელიც გვყავს.

- ბაგა-ბაღების გაერთიანების შექმნის დღიდან მისი ხელმძღვანელი ხართ. როგორ იზრდება დაფინანსება?

- ბიუჯეტი 200 ათასი ლარით დავიწყეთ და ახლა იგი 2 551 500 ლარს შეადგენს. აქედან სახელფასო ფონდი 1,7 მილიონ ლარზე მეტია. პერიოდულად იზრდება დასაქმებულთა ხელფასიც. დღეს მარტო კვების პროდუქტების შესაძენად 296 ათასი ლარი იხარჯება. საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად, უმჯობესდება ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურა, პერსონალის შრომითი პირობები, კვალიფიკაცია. დავიწყეთ ბაგა-ბაღების ავტორიზაცია და პირველი ეტაპიც გავიარეთ. აღმზრდელები გადავამზადეთ და მათი უმრავლესობა თანამედროვე მოთხოვნებს აკმაყოფილებს. მაგისტრის, ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული განათლებით 24 აღმზრდელ გვყავს, რომელთაგან 7-მა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. ვმუშაობთ დარჩენილი აღმზრდელების გადამზადებაზეც. გეტყვით, რომ მეორე ეტაპზე, რომელიც მალე დაიწყება, გადამზადებული აღმზრდელები ვერ მიიღებენ აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსს, რადგან არ აქვთ შესაბამისი განათლება. 21-ე საუკუნის დასაწყისში შუახევში მხოლოდ ერთი სკოლამდელი დაწესებულება იყო და ყველას ძალისხმევა მის გამართულ, მიზნობრივ მუშაობაზე იყო მიმართული. ახლა 14 ბაგა-ბაღი მოქმედებს და დაბაში არსებულს არ ჩამორჩებიან. განათლების ხარისხის ექსპერტებმაც საპილოტედ ხიჭაურის დასახლებაში არსებული შეარჩიეს, სადაც ახალი კურიკულუმი ინერგება.

- ყველა დღესასწაულსა და საჯარო ღონისძიებაზე ბაგა-ბაღების აღსაზრდელები ყურადღებას იქცევენ...

- უკვე ტრადიციად იქცა ბაგა-ბაღებიდან აღსაზრდელების სკოლაში გაცილება. წელსაც 116 აღსაზრდელს დავუულოცეთ გზა სკოლისაკენ. ბავშვებს გამორჩეულად ვეფერებით. ყველა ხალისობს მათი სცენაზე გამოჩენით. რამდენიმე წელია, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს ალამაზებენ ბაგა-ბაღების აღსაზრდელები, მათი აღმზრდელები, ასე იყო წელსაც. ამაგი უნდა დავუფასოთ მუსიკის მასწავლებლებს. არ დაგვავიწყდეს არც ის საზეიმო გაწყობა, როცა ბაგა-ბაღები გავხსენით ჯაბნიძეებში, ხაბელაშვილებში, შუბანში, ბარათაულში.

- თვითმმართველობის ორგანოებთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?

- შუახევში კერძო ბაგა-ბაღი არ გვაქვს და არც მისი გახსნის მოლოდინი. ამიტომაც ჩვენი წარმატებული მუშაობა თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან კავშირზეა დამოკიდებული. მათი თანადგომის გარეშე ვერაფერს გავხდებოდით. მარტო წელს თვალსაჩინოების, წიგნების, საკანცელარიო, ჰიგიენური ნივთების, კომპიუტერული ტექნიკისა და სხვა საჭიროებებისთვის 160 ათას ლარზე მეტი გამოიყო ადგილობრივი ბიუჯეტიდან. დევიზი: «ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს!» - ჩვენთან ამართლებს. ახლა კონკურსი გამოცხადდა 60,5 ათასი ლარის ახალი ინვენტარის შეძენაზე. ჩვენი საქმიანობის თაობაზე ინფორმაციით წარვსდექით შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე. დეპუტატებმა მუშაობა დადებითად შეგვიფასეს. გამორჩეული მოწონება «ბაგა-ბაღების მართვის სტრატეგიამ» დაიმსახურა.

- სოფლები ცარიელდება. სკოლებში მოსწავლეთა კონტინგენტი მინიმუმამდეა დასული... თქვენთან რა მდგომარეობაა?

- სწავლების თანამედროვე ფორმები და მეთოდები მოითხოვს, რომ პირველ კლასში ბავშვი სკოლამდელი დაწესებულებიდან მიდიოდეს. მრავალი ოჯახი სოფელში რჩება, მაგრამ ცალკეული, თანაც შორეული უბნებიდან ბავშვები ბაგა-ბაღებში ვერ მიჰყავთ. ასეთ დროს, ოჯახი იძულებულია, საცხოვრებლად ქალაქში ან დაბაში გადავიდეს, რომ შვილს ნორმალური გარემო შეუქმნას. ფოთარო, ნაგომარი, ზეკარა, ოკისი, წელათი, მთისუბანი, აფხაკეთა, ძაღიანი, დარგულა და გოგაძეები მოსახლეობისგან რომ უცებ დაიცალა, ამის წინაპირობა სწორედ ბავშვებზე ზრუნვა, მათთვის ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნა იყო. ახლა ჩვენი, თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების ძალისხმევა სოფლებში სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის გაფართოებასა და ადამიანების იქ დამაგრებაზეა მიმართული. ამ პირობით გაიხსნა ალტერნატიული ბაღები ნაღვარევში, კარაპეტში, ბაგა-ბაღები შუბანში, ხაბელაშვილებსა და ბუთურაულში.

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით...

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის ახალ რეგიონალურ დირექტორ როლანდ პრაისს შეხვდა, რომელიც საქმიანობას ოფიციალურად 1-ელი სექტემბრიდან შეუდგება.



შეხვედრას ასევე ესწრებოდა მსოფლიო ბანკის მოქმედი რეგიონალური დირექტორი სებასტიან მოლინეუსი, რომელიც ამ პოზიციაზე ოთხწლიან საქმიანობას მიმდინარე თვის ბოლოს დაასრულებს.

ირაკლი ღარიბაშვილმა როლანდ პრაისს ახალ თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა, სებასტიან მოლინეუსს კი, საქართველოს მთავრობასთან ეფექტიანი, ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის, მადლობა გადაუხადა და მათ მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

შეხვედრაზე საქართველოს მთავრობასა და მსოფლიო ბანკს შორის არსებული თანამშრომლობის დინამიკა მიმოიხილეს. პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს განვითარებაში მსოფლიო ბანკის მიერ შეტანილ მნიშვნელოვან წვლილს. აღინიშნა, რომ სამი ათწლეულის განმავლობაში მსოფლიო ბანკმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში, ზრდასა და მოდერნიზაციაში.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე არსებული თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებისა და გაფართოების პერსპექტივებზე იმსჯელეს.

ამირან გურიელიძე

ხელოვნური კუნძულის მშენებლობისთვის „ამბასადორმა“ პროცედურა დაიწყო

მე-2 გვერდიდან

პროექტის მომდევნო ეტაპზე, ასევე, დაგეგმილია კუნძულის შემდგომი განაშენიანების დეტალური გეგმის მომზადება და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან შეთანხმება.

„ამბასადორის“ ინფორმაციით, ხელოვნური კუნძულის ასაშენებლად განიხილებოდა შავი ზღვის საქართველოს სანაპირო ზოლის ტერიტორიის რამდენიმე ალტერნატიული ადგილი, რომელთაგან განსახილველად შეირჩა სამი ტერიტორია: პირველი ვარიანტი - ბათუმში ოდისეი დიმიტრიადის ქუჩის და რკინიგზის სადგურის მიმდებარე საზღვაო აკვატორია (ბარცხანისა და თამარის დასახლების მიმდებარე პლაჟების გასწვრივ, სადაც დაგეგმილია კუნძულის მშენებლობა); მეორე ვარიანტი იყო - მდინარე ჭოროხის შესართავის სამხრეთით მდებარე საზღვაო აკვატორია (გონიოს ყოფილი სამხედრო პოლიგონის მიმდებარედ); ხოლო მესამე ვარიანტი - მწვანე კონცხის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე საზღვაო აკვატორია (ბოტანიკური ბაღის მიმდებარედ); ალტერნატივები ხელოვნური კუნძულის ასაშენებლად (გონიოს, ბარცხანისა და ბოტანიკური ბაღის მიმდებარედ).

აღსანიშნავია, რომ „ამბასადორისა“ და ხელისუფლების წარმომადგენლებმა „ხელოვნური კუნძულის“ პროექტის პრეზენტაცია ბათუმში 2022 წელს გამართეს. ხელოვნური კუნძულის პროექტი მთლიანად გააქრობს ბარცხანის პლაჟს. ფაქტობრივად, ეს პლაჟი უკვე აღარც არსებობს - „ამბასადორმა“ ლოდები და სხვა ინერტული მასალა აქ უკვე შეიტანა.

„ევროპული ერთობა“- ეს წიგნი გზამკვლევია

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა და, საერთოდ, დაინტერესებულმა მკითხველმა ახლახან მართლაც მნიშვნელოვანი წიგნი მიიღო - „ევროპული ერთობა, იდეა, პოლიტიკა, ინტეგრაცია“, რომელშიც დეტალურად, მეცნიერულად, სიღრმისეულადაა განხილული ევროკავშირის შექმნის ისტორია, მისი წევრი ქვეყნების მაგალითები, გამოწვევები ევროკავშირში გაწევრიანების თვალსაზრისით

ავტორებმა ლაშა გაჟუნაიშვილმა და ირაკლი გორგილაძემ მნიშვნელოვანი შრომა გასწიეს - სახელმძღვანელო მაღალპროფესიონალურ დონეზეა შედგენილი. ჩვენ ***ლაშა გაჟუნაიშვილს*** *გავესაუბრეთ.*

- გილოცავთ თქვენი და ირაკლი გორგილაძის ავტორობით გამოცემული წიგნის წარმატებულ პრეზენტაციას. რა არის სახელმძღვანელოს გამოცემის მიზანი და დანიშნულება?

- წიგნის მიზანი იყო, შეგვექმნა სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის. ამ ნაშრომის აქტუალობა განპირობებულია არა მხოლოდ მისი თეორიული ღირებულებებით, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობით, ვინაიდან ევროინტეგრაციის პროცესში ევროკავშირის წევრი ქვეყნების ისტორიული გამოცდილება დიდწილად ეხმიანება საქართველოს დღევანდელ გამოწვევებს. ამ მხრივ ჩვენ გვაქვს ევროპისმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამა ბსუ-ის ბაზაზე, რომელიც საკმაოდ პოპულარულია, მასში ყოველწლიურად 15 სტუდენტია ჩართული. ამ პროგრამას აქვს მნიშვნელოვანი დატვირთვა.

- რას გულისხმობთ?

- იმას, რომ ევროპისმცოდნეობის სწავლა საგანმანათლებლო სივრცეში ხაზს უსვამს პრიორიტეტებს, რომელიც ქვეყანაში დიდი ხანია გაცხადებულია. ასევე, უნდა აღვნიშნო, რომ საბაზისო განათლებას ვახორციელებთ ევროპისმცოდნეობის ინტერდისციპლინური საგანმანათლებლო პროგრამით. სტუდენტებს საშუალება აქვთ, გაიღრმაონ ცოდნა როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში, ასეთი ბევრი შემთხვევა გვაქვს. შემდგომში ეს ყველაფერი განაპირობებს კადრების მომზადებას ევროპული პოლიტიკის და კვლევის ნაწილში. სამომავლოდ, როგორც ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ქვეყანას, შეიძლება დაგვჭირდეს ქვეყანაში საჯარო პოლიტიკის განმახორციელებელი კადრები, თადარიგს ვიჭერთ და წინასწარ ვამზადებთ მათ.

- ზემოაღნიშნულ წიგნში, ძირითადად, რა თემებია განხილული და რა სეგმენტზეა იგი გათვლილი?

- სათაური სპეციალურად შევარჩიეთ: „ევროპული ერთობა, იდეა, პოლიტიკა, ინტეგრაცია“, იმიტომ, რომ წიგნი მხოლოდ აკადემიური წრისთვის არ არის განკუთვნილი, ამბიცია აქვს, დაინტერესებული მკითხველი მიიზიდოს... წინამდებარე სახელმძღვანელო მომზადდა სწორედ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისთვის, პროფესორ-მასწავლებლების და საკითხით დაინტერესებული სხვა მკითხველისთვის. სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი მოიცავს განსაზღვრულ პერიოდს 1950-იანი წლებიდან 1991 წლამდე. შესაბამისად, მასში წარმოდგენილია ევროპის გაერთიანების იდეა, პოლიტიკა და ევროგაერთიანების ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაციული პროცესების (გაფართოება, ინსტიტუციური განვითარება) ჰოლისტური ხედვა. მოკლედ, ამ სახელმძღვანელოში ევროგაერთიანების ყველა ეტაპია წარმოდგენილი მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის გლობალური პოლიტიკისა და ეკონომიკის ჭრილში, ხოლო მოცემული პერიოდის ევროპულ თანამეგობრობაში თითოეული სახელმწიფოს გაწევრიანება განხილულია ასპირანტი ქვეყნების ისტორიული, ცივილიზაციური, სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური კონტექსტის გათვალისწინებით...

- რამდენ ხანს მუშაობდით ამ წიგნზე?

- დაახლოებით 7 წელი გმუშაობდით, უამრავი ინფორმაციაა მოპოვებული როგორც წერილობითი, ასევე ვიზუალური, მაგალითად, პოლიტიკური კარიკატურები, რომელიც მკითხველს გარკვეული პროცესების სხვა კუთხით აღქმაში დაეხმარება, ასევე, აქ არის წარმოდგენილი დოკუმენტები, მემუარები, ფოტომასალა, რომელიც საინტერესო იქნება მკითხველისათვის. ეს წიგნი, ძირითადად, ორი პროფესორის, ჩემი და ირაკლი გორგილაძის მუშაობის შედეგად მომზადდა... ჩვენი განზრახვაა, რაც შეიძლება აკადემიური, პროფესიონალური, საინტერესო და კომპაქტური ინფორმაცია მივაწოდოთ საზოგადოებას. არამარტო სტუდენტებს, ამ წიგნის გამოყენება სხვა დაინტერესებულ პირებსაც შეუძლიათ, მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ჟურნალისტებს.



- ამ წიგნის შექმნის მთავარი ამოცანა რა იყო?

- პირველი - შევქმნათ სასწავლო ბაზა, მეორე - საზოგადოების ფართო ფენას უფრო მკაფიო და ვრცელი ინფორმაცია მივაწოდოთ ევროგაერთიანების ფორმირების, განვითარებისა და მასში სხვადასხვა სახელმწიფოს ინტეგრაციის შესახებ. წიგნში ევროკავშირი განხილულია მსოფლიო პოლიტიკის, ეკონომიკის, განსაკუთრებით ცივი ომის პერიოდის გლობალური მოვლენების კონტექსტში, ეს ძალიან კარგ ცოდნას მისცემს სტუდენტებს, მკითხველებს იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის ევროკავშირი, რას ეფუძნება და როგორ მოვიდა დღემდე. ჩვენ გვინდა დავანახოთ მკითხველს, რომ ევროკავშირი დღეს არ შექმნილა, მას აქვს უდიდესი ტრადიციები, რომელიც იქმნებოდა ეტაპობრივად, სექტორულად და სხვა.

- წიგნში თუ არის განხილული ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობა?

- პირველ ნაწილში არ არის განხილული, სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში აუცილებლად განვიხილავთ ამ ურთიერთთანამშრომლობას, ასევე, საუბარი იქნება ისეთ თემებზე, როგორიცაა საბჭოთა კავშირის დაშლა, ევროპის უსაფრთხოების ახალი არქიტექტურა, ამ არქიტექტურაში ინტეგრაციის მცდელობები, ინკლუზიური როლის შეტანა უსაფრთხოების ფორმირების პროცესში, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების, მათ შორის, რუსეთის, რომელიც, სამწუხაროდ, ვერ შედგა დემოკრატიულ ქვეყნად იმიტომ, რომ არ გააჩნია უნარი იყოს ლიბერალური დემოკრატიის აღმშენებელი ქვეყანა როგორც საკუთარ, ისე საერთაშორისო პოლიტიკაში. გარდა ამისა, სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში განხილული იქნება სხვადასხვა (ევროატლანტიკური ორგანიზაციის) გაფართოების პერიოდები, კერძოდ, 1995, 2004, 2007 და 2013 წლის გაფართოება და საუბარი იქნება რუსეთ-უკრაინის ომზე... რა თქმა უნდა, საქართველოს ქეისი თავიდან ბოლომდე (ანუ 1991 წლიდან დღემდე) იქნება განხილული სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში, ისევე, როგორც უკრაინის, მოლდოვის და იმ სახელმწიფოების, რომლებიც აქამდე ინტეგრირებულნი იყვნენ ევროკავშირში.

- როგორც ცნობილია, წიგნის პრეზენტაცია ბსუ-ის უნივერსიტეტში გაიმართა, რომელსაც რექტორი მერაბ ხალვაში, პროფესორები, სტუდენტები ესწრებოდნენ. როგორი იყო მათი მოსაზრებები, შენიშვნები...

- სხვათა შორის, შენიშვნებისთვის ჩვენ დავარიგეთ სახელმძღვანელოები. არ გვაქვს ამბიცია, რომ მასში ტექნიკური ხარვეზები არ იყოს, ანუ კორექტურა არ გაიპაროს, ეს ჩვეულებრივი ამბავია. ჩვენ შენიშვნებისთვის მზად ვართ, არ ვამბობთ, რომ ეს სახელმძღვანელო არის იდეალური, ჩვენ ვამბობთ, რომ ეს არის ძალიან კარგი, ძალიან ამბიციური, მნიშვნელოვანი, მაგრამ ამავდროულად ღია ვართ მივიღოთ რეკომენდაციები. ამ მხრივ, ჩვენ მივიღეთ ძალიან კარგი რეკომენდაციები როგორც საუნივერსიტეტო, ისე გარე შემფასებლებისგან. უნივერსიტეტმა ეს წიგნი უკვე დაამტკიცა და მას მიენიჭა სახელმძღვანელოს სტატუსი. ამიერიდან ჩვენი უნივერსიტეტიც დაბეჭდავს ჩვენს სახელმძღვანელოს, ვალდებულება აიღო, რის შედეგადაც ჩვენ მას დავარიგებთ საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და გამოიყენებენ როგორც სახელმძღვანელოს. არის შემოთავაზება, რომ პრეზენტაციები გაიმართოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპის კვლევების ცენტრში, ასევე სხვადასხვა რეგიონალურ უნივერსიტეტში.

- საზღვარგარეთ თუ არის დაგეგმილი ამ სახელმძღვანელოს პრეზენტაცია?

- არა, რადგან იქ უამრავი ლიტერატურაა ამ მიმართულებით, ინგლისურ აუდიტორიაზე არ არის გათვლილი ეს სახელმძღვანელო, მომზადდა ქართველი სტუდენტებისთვის.

- მასალა, ძირითადად, სად მოიძიეთ?

- ძირითადი მასალა უცხოეთში მოვიძიეთ, გამოვიყენეთ ევროკავშირში შექმნილი დოკუმენტები, ვეყრდნობოდით საარქივო მასალებს, სახელმძღვანელოში დეტალურადაა მითითებული ყველა წყარო.

- თქვენ აღნიშნეთ, რომ სახელმძღვანელო, ძირითადად, განკუთვნილია სტუდენტებისათვის. ჩვენი სტუდენტები რამდენად გაცნობიერებულნი არიან დასავლურ ღირებულებებში?

- ჩემი სტუდენტები სრულყოფილად არიან გაცნობიერებულნი დასავლურ ღირებულებებში, ამ მხრივ ჩვენი უნივერსიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს სხვადასხვა უნივერსიტეტთან და ჩართულია პროევროპულ პროექტებში. ეს სახელმძღვანელო ნამდვილად დაეხმარება სტუდენტებს, გააცნობიერონ რა არის ევროკავშირი, როგორ პრინციპებზე, რა იდეებზე, რა პროცესების შედეგად შეიქმნა ევროკავშირი. როგორც გითხარით, სახელმძღვანელოს მეორე ნაწილი აუცილებლად დაეხმარება სტუდენტებს გააღრმაონ ეს ცოდნა.

- კანდიდატის სტატუსის მინიჭება ჩვენს ქვეყანას რა პერსპექტივებს უსახავს სახელმწიფოებრიობის განმტკიცების თვალსაზრისით?

- დიდი იმედი მაქვს, რომ ევროპული საზოგადოება ნამდვილად დააფასებს საქართველოს ისტორიულ არჩევანს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციასთან დაკავშირებით. ვიმედოვნებ, დაფასდება ჩვენი მრავალწლიანი მუშაობა ამ მიმართულებით. არ გამოვყოფ არცერთ ხელისუფლებას, უბრალოდ, ვიტყვი, რომ ეს იყო ქართული საზოგადოების შრომა, მზაობა, მრავალწლიანი სურვილი, გავწევრიანდეთ ევროკავშირში. ჩვენ არასდროს დაგვიყენებია ეჭვის ქვეშ ჩვენი დასავლური არჩევანი, ცხადია, მოწინააღმდეგეებიც არსებობენ და ყოველთვის იყვნენ ასეთი ძალები სხვადასხვა სახელმწიფოში ევროკავშირთან მიმართებით. სხვათა შორის, ამ სახელმძღვანელოში ისტორიულ ჭრილში არის განხილული ეს თემები, მაგალითად, საბერძნეთშიც იყო მსგავსი სკეპტიკური დამოკიდებულება საზოგადოების ნაწილის მხრიდან.

- აზრთა სხვადასხვაობაა საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით...

- როგორც აღვნიშნე, ჩვენ ვიმსახურებთ კანდიდატის სტატუსს. დღეს, სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობის განცხადებები ამ მიმართებით საგანგაშოა და სცდება ევროპულ ერთსულოვნებას, მაგრამ ევროკავშირის გადაწყვეტილების მიმღებებმა ყურად უნდა იღონ ხალხის სურვილი და არა მთავრობის დღევანდელი განცხადებები. მთავრობები მიდი-მოდის, ხალხი კი რჩება. ჩვენი ევროპული არჩევანი დღეს კი არა, საუკუნეების წინ გაკეთდა, ამიტომ ევროკავშირმა ეს უნდა გაითვალისწინოს და მოგვანიჭოს კანდიდატის სტატუსი. ამ მხრივ დავიმოწმებ საბერძნეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრ კონსტანტინე კარამანლისის სიტყვებს, რომელიც თავისი ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაციასთან დაკავშირებით თქვა: „ჩვენი ბედი მანამ არ შეიცვლება, სანამ არ გავხდებით ევროკავშირის წევრი ქვეყანა“. ჩვენც გვჭირდება ეს ევროპული სივრცე, რომ განვვითარდეთ, რაც არ არის დაკავშირებული ჩრდილოეთთან. ჩვენ ვერ განვვითარდით იმ ხალხთან ერთად იმიტომ, რომ ის მიზანმიმართულად ანგრევდა ჩვენი ისტორიული განვითარების ვექტორებს და ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდა მაშინაც კი, როდესაც იმპერიის შემადგენლობაში ვყავდით, ხოლო ასმაგად გვებრძოდა, როცა დამოუკიდებლები ვიყავით. ისინი ეწინააღმდეგებიან ჩვენი ისტორიული, ბუნებრივი განვითარების გზას და ქვეყნის არჩევანს. საქართველო ყოველთვის იყო დასავლური ცივილიზაციის ნაწილი და იმედი მაქვს, არც მომავალში არ იქნება მხოლოდ მომხმარებელი ამ ევროპული სიკეთეების, არამედ იქნება კონტრიბუტორი - ჩვენ გეოპოლიტიკურად, კულტურულად შეგვიძლია შევიტანოთ ჩვენი წვლილი ამ მიმართებით. საქართველოს სჭირდება ევროპულ კალაპოტში ჩადგომა, რომ არასოდეს იყოს შესაძლებლობა გარე ძალების მხრიდან ამ კალაპოტიდან ოდესმე ჩვენი ამოგდების.

- დაბოლოს, სამომავლოდ ხომ არ გეგმავთ მსგავსი სახელმძღვანელოს გამოცემას ნატოს შესახებ?

- ნატოს შესახებაც არის საუბარი ჩვენს სახელმძღვანელოში. მის მეორე ნაწილში, ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით ჩრდილოატლანტიკური ალიანსის თემას, რადგან გეოპოლიტიკური ვითარდებიდან გამომდინარე, ნატოს სისტემაზე უკეთესი დაცვა მსოფლიოში არ არსებობს.

როინ მეტრეველი – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტად მეცნიერი, ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, როინ მეტრეველი აირჩიეს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ცნობით, ეროვნულ აკადემიაში აკადემიის საერთო კრება ჩატარდა, რომელზეც რიგი საორგანიზაციო და, ამავდროულად, აკადემიის პრეზიდენტის არჩევნების საკითხი განიხილეს.

„საერთო კრებაზე ხმათა უმრავლესობით აკადემიის პრეზიდენტად არჩეულ იქნა გამოჩენილი მეცნიერი, ისტორიკოსი, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, განათლებისა და მეცნიერების სფეროში უბადლო ორგანიზატორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი როინ მეტრეველი“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

ინწკირვეთში სანიმუშო ცენტრი ექნებათ

შუახევში, ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, რამდენიმე სოფლის ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. შარშან დაიწყო და, კონკურსში გამარჯვებული მეწარმის უსულგულო დამოკიდებულების გამო, ვერ დასრულდა მთისპირა სოფელ ინწკირვეთის ცენტრის კეთილმოწყობა. შუახევის მუნიციპალიტეტის შესაბამისმა სამსახურმა კონკურსი ხელახლა გამოაცხადა, თანაც თანხებში გარკვეული კორექტირება შეიტანა

საბოლოოდ, ეს საქმე შპს „გიკუ-2010“-მა ითავა.

პროექტის ფარგლებში მოეწყობა სკვერი, დამონტაჟდება დეკორატიული განათება, განთავსდება ნაგვის urnები. ასევე, გაკეთდება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში გმირულად დაღუპული თენგიზ ჭაღალიძის მემორიალი.

- პროექტი მიზნად ისახავს სოფლის ცენტრებში ადგილობრივი მოსახლეობისთვის ყველა საჭირო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასა და ტურისტებისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნას. მის განსახორციელებლად 43332.99 ლარია მობილიზებული, - გვითხრა სოფელ ინწკირვეთის მკვიდრმა დავით მგელაძემ, - შპს „გიკუ 2010“-ის დირექტორი მერაბ ზოიძე საქმეს პასუხისმგებლობით უდგება. მის მსგავსად ადრე გამარჯვებულ მეწარმეს რომ ემუშავა, უკვე ნორმალური გარემო გვექნებოდა. სამუშაოებზე 5-ზე მეტი ადგილობრივია დასაქმებული.

ინწკირვეთში მიმდინარე სამუშაო პროცესს შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, საკრებულოს წევრი ფატი ჭაღალიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატი ფრიდონ ფუტკარაძე და შუახევის თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები გაეცნენ.

სიახლე – დაბა ქედაში

დაბა ქედაში, რუსთაველის ქუჩის მიმდებარედ ადაპტირებული და თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ახალი პარკი კეთდება. აქ დამონტაჟდება თანამედროვე ტიპის სანათები, ტერიტორია გამწვანდება უცხოური ჯიშისა და სხვა დეკორატიული ბუჩქებითა და მცენარეებით, გაკეთდება საბავშვო ატრაქციონები და ტრენაჟორები, სასეირნო და ველობილიკები, ფანჩატურები, დაიდგმება ჩოგბურთის მაგიდები, მოეწყობა კალათბურთისა და ფეხბურთის მინიმოედანი

პარკი შშმ პირებისთვის ადაპტირებული იქნება. მოეწყობა ეტლით მოსარგებლე პირებისთვის ადაპტირებული საქანელა.

სამუშაოებს, რომლისთვისაც 998 676 ლარია გამოყოფილი, სამშენებლო კომპანია შპს „მ.მ“ ასრულებს.

მიმდინარე სამუშაოებს ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე, მერის პირველი მოადგილე იმედა ვასაძე და მერის წარმომადგენელი დაბა ქედის ადმინისტრაციულ ერთეულში ნაზიმ ჩხეიძე გაეცნენ.

- რამდენიმე დღეში დაბა ქედას შეემატება კიდევ ერთი თანამედროვე ტიპის, ყველა სეგმენტზე გათვლილი დასასვენებელი და გასართობი პარკი, რომელიც მიმზიდველი და კომფორტული იქნება როგორც ადგილობრივებისთვის, ასევე ტურისტებისთვის, - გვითხრა როლანდ ბერიძემ.

დებატკლუბის საქმიანობის წარდგინება

ერთ წელზე მეტია, შუახევის მუნიციპალიტეტის ახალდაბის საჯარო სკოლაში დებატკლუბი მოქმედებს. კლუბის წევრები სხვადასხვა მიმართულებით მუშაობენ

გარემოს დაცვა მათი საქმიანობის მთავარი მიმართულებაა. კლუბის წევრებმა რიკიხეთში 9 აპრილის ხეივანში გაწეული მუშაობის პრეზენტაცია გამართეს. ღონისძიებას აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი შუახევში ავთანდილ კაკალაძე მოწვეული სტუმრის რანგში ესწრებოდა. იგი კლუბის წევრებსა და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებს იმ გლობალურ პრობლემებზე ესაუბრა, რაც თანამედროვე მსოფლიოსთვისაა დამახასიათებელი, ყურადღება გაამახვილა იმაზე, თუ რა კეთდება გარემოს გადასარჩენად. ღონისძიება თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის პროექტის - „დემოკრატიული ღირებულებების გაძლიერება სამოქალაქო ქსელის მეშვეობით“ ფარგლებში დაიგეგმა და NED-ის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

კლუბს ახალდაბის საჯარო სკოლის პედაგოგი მალვინა ზოიძე ხელმძღვანელობს, მასში სკოლის V-XII კლასების 25-მდე მოსწავლეა ჩართული. გამოცდილება ახალდაბელმა მოსწავლეებმა ბრილის საჯარო სკოლის თანატოლებს გაუზიარეს, სკოლაშიც სტუმრობდნენ. დებატკლუბის საქმიანობაში ახალდაბის საჯარო სკოლის პედაგოგებიც ერთვებიან.

წარდგინების მონაწილეებს შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, საკრებულოს წევრი ფატი ჭაღალიძე, შუახევის რესურსცენტრის უფროსი ედუარდ გოგრაჭაძე და თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის წარმომადგენელი ციალა ქათამიძე მიესალმნენ.

კლუბის წევრებს აქტიური მუშაობისთვის სერტიფიკატები გადაეცათ.

წმინდა სამების სამლოცველოს ააშენებენ

ერთ დროს ცხოვრება ჩქეფდა ხინოწმინდის ხეობაში, რომელიც დიდაჭარის მსგავსად, ჩვენი ქრისტიანობის ბალავრად ითვლებოდა. ახლა ასეულობით ჰექტარი ტერიტორია მიტოვებულ-მივიწყებულია. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორისა და მიტროპოლიტ დიმიტრის ლოცვა-კურთხევით, ხინოწმინდის გამოცოცხლება დაიწყო. მიმდინარეობს ადრე არსებული სამონასტრო კომპლექსის სარესტავრაციო სამუშაოები, ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და სხვა ტერიტორიებზე მცხოვრები ცალკეული გვარის წარმომადგენლები ამ ტერიტორიაზე სამლოცველოებს, კელიებს, სატრაპეზოებს აკეთებენ. მათ შორის არიან ტაკიძეებიც

გვარის ეთნარქის რეზო ტაკიძისა და სხვების ინიციატივით, ყოველი წლის ზაფხულის დასაწყისში ტაკიძეები ხინოწმინდაში იკრიბებიან. ხინოწმინდის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღოლ, იღუმენ ევდემოზის ლოცვა-კურთხევით, ეს შეკრებები ტრადიციული გახდა. წელს გვარის თავშეყრა სულთმოფენობის დღესასწაულს დაამთხვიეს.

შეკრებაზე გვარის ღირსეულმა წარმომადგენლებმა აჭარა-გურიისათვის დამახასიათებელი ენდემური ვაზის ჯიშის „ტაკიზურას“ რამდენიმე ნერგი შემატეს ზვარს, რომელიც ევდემოზის ინიციატივით შენდება.

ცნობილია, რომ ტაკიძეთა გვარის თაოსნობით კეთილმოეწყო მონასტრის წინამძღოლის კელია. წლევანდელ შეკრებაზე ითქვა, რომ ევდემოზის ლოცვა-კურთხევით, ტაკიძეები მონასტრის ტერიტორიაზე წმინდა სამების სამლოცველოს ააშენებენ.

ხინოწმინდაში, სიმბოლურად, სრულიად საქართველოს ტაკიძეთა საგვარეულო კავშირის უმაღლესი მმართველი ორგანო - უხუცესთა საბჭო აირჩიეს შემდეგი შემადგენლობით: გიორგი, ომარ, ნუკრი, ელდარ, რამინ, ამირან, მალხაზ, ნიაზ, დავით, შოთა, მინდია, რეზო ტაკიძეები. საგვარეული კავშირი მალე იურიდიული პირის სტატუსს მიიღებს.

- შეკრებაზე ოჯახის წევრებთან ერთად მოვედი, - გვითხრა შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, - მახარებს ის სიახლეები, რაც გასული წლიდან დღემდეა გაკეთებული. იღუმენ ევდემოზთან ერთად, მთელი ტერიტორია შემოვიარე, შემოწირულობაც დავტოვე. სექტემბრის დასაწყისში იღუმენი და საგვარეულოს წარმომადგენლები მშობლიურ ნაღვარევში, ლელთის ტბასთან მოვიპატიჟეთ.

სკოლაში დაწყებული აქტივობა ბათუმში გაგრძელდა

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ხარაულის თემურ ზაქარაძის სახელობის სკოლაში (დირექტორი მურმან ზაქარაძე) მრავალი აქტივობა იმართება. ხელოვნების მასწავლებელმა ზაურ ხარაძემ ერთი დღე ასფალტზე ხატვას დაუთმო. გაკვეთილის შემდეგ ჩატარდა საზეიმო ღონისძიება მილოცვებით, ლექსებით, სიმღერებით

მე-9-11 კლასების მოსწავლეები წამყვანმა მასწავლებელმა მაყვალა ზაქარაძემ ბათუმში ჩამოიყვანა. ბავშვებმა პატივი მიაგეს ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძრის ეზოში დაკრძალული ცნობილი ადამიანების ფრიდონ ხალვაშის, ზურაბ გორგილაძის, შოთა ზოიძის, რამაზ სურმანიძის, ბიჭიკო დიასამიძის, აზიზ ახვლედიანის, ნინო საკანდელიძის, მანუჩარ შერვაშიძის ხსოვნას.

ამაღელვებელი იყო პოეზიის საღამო ფრიდონ ხალვაშის და ზურაბ გორგილაძის საფლავებთან. მოსწავლეებმა ინტერესით მოისმინეს მენტორი მასწავლებლის თამაზ აბულაძის მოხსენება: „აჭარაში მხატვრული სიტყვის განვითარების საქმეში ფრიდონ ხალვაშის და ზურაბ გორგილაძის წვლილის შესახებ“. როგორც მან აღნიშნა, აჭარაში პირველი მხატვრული სიტყვის ოსტატი აბუსერისძე ტბელი იყო. შემდგომში, ოსმალთა ბატონობამ ჩაკლა მხატვრული აზროვნების განვითარების პირობები, ამ მხარეს ვერც ქართველი საზოგადო მოღვაწეები აქცევდნენ ყურადღებას. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან პეტრე უმიკაშვილმა დაიწყო აჭარაში მხატვრული სიტყვის ნიმუშების შესწავლა. მხატვრული სიტყვის აღორძინება მე-20 საუკუნის 20-30-იანი წლებიდან დაიწყო. ამ პერიოდში აჭარაში მოღვაწე ქართველ მესიტყვეებს გვერდში ამოუდგნენ აქ დაბადებული და გაზრდილი მამია ვარშანიძე, ამირან შერვაშიძე, 40-იან წლებში გამოვიდა ასპარეზზე ფრიდონ ხალვაში, 50-იან წლებში - ზურაბ გორგილაძე და არაერთი სხვა.

იმპროვიზებულ პოეზიის საღამოზე მოსწავლეებმა, ასევე, პოეტმა თამარ ხოზრევანიძემ წაიკითხეს ფრიდონ ხალვაშის და ზურაბ გორგილაძის ლექსები. საღამოს მოსწავლეები ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ თეატრში სპექტაკლ „ჰელადოსს“ დაესწრნენ, რომელიც ნოდარ დუმბაძის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვითაა დადგმული. სკოლაში დაბრუნების შემდეგ, მათ გამართეს „ჰელადოსის“ განხილვა-დისკუსია.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

„ბედნიერება ბედნიერი წამებისგან შემდგარი გრძნობაა“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

*ბათუმელი საოპერო მომღერალი **აჩიკო გოგიტიძე** ჩვენი დღევანდელი რესპონდენტია. ის განსაკუთრებული იუმორის გრძნობით გამოირჩევა, რაც პასუხებშიც ჩანს.*

- **დავიბადე** - ბათუმში.
- **ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია** - ადამიანი.
- **ვიქნებოდი** - მაინც ხელოვანი.
- **დილა იწყება** - რომელი საათია? ყავა!
- **საყვარელი ადგილი** - სადაც ჩემი მეგობრები არიან.
- **ბავშვობაში მინდოდა** - დახლზე გამეყიდა სოფლის ნობათი.
- **სიტყვა, რომელსაც ხშირად ვიყენებ** - საჯაროდ - უხერხულია.
- **ყველაზე კარგი რჩევა, რომელიც მოუციათ** - მოუციათ, გამითვალისწინებია, დიდი მადლობა.
- **ცნობილი ადამიანები, რომლებსაც პირადად ვიცნობ** - საქართველოში უამრავ ნიჭიერ და ცნობილ ადამიანს ვიცნობ, საზღვარგარეთ - უფრო ჩემს პროფესიაში მოღვაწე ცნობილ შემსრულებლებს.
- **საყვარელი მუსიკალური მიმდინარეობა და შემსრულებელი** - კლასიკის გარდა, ადრე როკს ვუსმენდი, ახლა - კლასიკურ ჯაზს.
- **ბოლოს წავიკითხე** - შენი სმს, ისე - ენდი უორჰოლის ფილოსოფია.
- **მოგონება ბავშვობიდან** - შეხვედრა მსოფლიო პატრიარქთან 1997 წელს.
- **ჩემზე ამბობენ** - მგონი, არაფერს, ამასაც დამსახურება სჭირდება.
- **არასოდეს** - მითქვამს „არასოდეს“.
- **მეშინია** - ჯერ არაფრის, მერე ვნახოთ.

- **ვიბრძოლებ** - ოჯახისთვის.
- **განვიცდი** - განსაცდელს.
- **სხვებისგან განვსხვავდები** - ვფიქრობ, ყველა რაღაცით განვსხვავდებით ერთმანეთისგან.
- **ჩემი თვისებებიდან ვმალავ** - ვერ ვმალავ, ალბათ, ნაკლები დოზით ვავლენ.
- **ბავშვობაში მეგონა** - როგორც ყველას, ისე მეგონა მეც რაღაცები.
- **დღე, რომელმაც ჩემი ცხოვრება შეცვალა** - დრო გვიჩვენებს, რომელია ასეთი დღე. შემდეგ ინტერვიუში გეტყვი.
- **არ მჯერა** - პოლიტიკოსების.
- **ვაპროტესტებ** - ყველაფერს, რაც აწუხებს ჩემს თანაქალაქელებს და მეგობრებს.
- **უნარი, რომელსაც მინდა ვფლობდე** - ხატვა.
- **ბოლოს ვიტირე** - მგონი, დოკუმენტურ-ბიოგრაფიული ფილმი იყო.
- **სიტყვა, რომელიც არ მიყვარს** - კატალიზატორი.
- **საკუთარ თავში მომწონს** - რთულია პასუხის გაცემა.
- **საკუთარ თავში არ მომწონს** - ბევრი რამ... კი, კი, ბევრი რამ.
- **სხვებში ყველაზე მეტად ვაფასებ** - კულტურას.
- **მაღიზიანებს** - ოდნავი სურდოც კი ან გაციება - ხმას ვკარგავ და იმიტომ.
- **არასოდეს გავაკეთებ** - რაც ჩემს მორალს ეწინააღმდეგება.
- **ყველაზე რთული პერიოდი** - არ მინდა დრამად ვაქციო ბლიცინტერვიუ.
- **საკუთარ თავში შევცვლიდი** - იმას, რაც არ მომწონს.
- **ყველაზე ბედნიერი ვარ, როცა** - კონკრეტული ფაქტი არ მახსენდება, ბედნიერება პატარა, ბედნიერი წამებისგან შემდგარი გრძნობაა.
- **ნივთი, რომელსაც სულ ვატარებ** - ჯვარი, რომელსაც ყველა კონცერტსა და სპექტაკლზე ვატარებ.
- **ვერასოდეს ვაპატიებ** - უნდა აპატიო! საინტერესოა ცხოვრება, გზის გაგრძელება სჯობს ყველა შემთხვევაში.
- **საუკეთესო, რაც მაქვს** - არ ვიცი, რომც ვიცოდე, მომერიდებოდა თქმა.
- **ვნანობ** - „ბავშვურ“ რაღაცებს უფრო.
- **მჯერა** - ყველა სურვილი სრულდება.
- **ყველაზე ძვირფასი საჩუქარი, რაც მიმიღია** - ძვირფასი სუნამო.
- **ყველაზე გამაღიზიანებელი შეკითხვა** - ხელფასი რამდენი გაქვს? ცოლი არ მოგყავს?
- **10 წლის შემდეგ** - „ისევ ქალაქში ზამთარი მოვა“.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პასუხი მედიაში გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით

ბოლო დროს ზოგიერთ მედიასაშუალებაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების შედეგებთან დაკავშირებით გასულ ინფორმაციას უმაღლესი სასწავლებელი სპეციალური განცხადებით გამოეხმაურა და განმარტა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ეხება სახელმწიფო უნივერსიტეტებში ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ინფორმაციას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

„ლატენტური დეზინფორმაცია, რომელიც ზოგიერთ მედიასაშუალებაში ბოლო დროს გასულ ინფორმაციას გასდევს, მიზნად ისახავს ეჭვქვეშ დააყენოს სახელმწიფო უნივერსიტეტებში თავისუფალი და დემოკრატიული გარემოს არსებობა, გამჭვირვალობა, სწავლების ხარისხი, ეროვნული ფასეულობების პატივისცემა, სწრაფვა საუკეთესო საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო პრაქტიკის გაზიარება-დანერგვისკენ; ასევე, მიზნად ისახავს უნდობლობა შეიტანოს საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი, მკვეთრად უარყოფითად განაწყოს ახალგაზრდა თაობა იმ უმაღლესი სასწავლებლების მიმართ, რომლებსაც არსებობის საუკუნოვანი ისტორია, უდიდესი სამეცნიერო-აკადემიური ტრადიციები გააჩნიათ და ათეულობით წელია დიდი წვლილი შეაქვთ ქვეყნის ეკონომიკის, განათლების, მეცნიერებისა და სოციალურ-კულტურული სფეროს განვითარებაში; მეტიც, ზოგიერთი მედიასაშუალება მაქსიმალურად ცდილობს დააკნინოს სახელმწიფო უნივერსიტეტები იქამდე, რომ ისინი პოლიტიკური დავალებების უპირობო შემსრულებლებად მონათლოს, რაც მძიმედ გადასატანია ნებისმიერი უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო წრეებისა და თანამშრომლებისთვის, რადგან მსგავსად გაუმართლებელი დეზინფორმაციული თავდასხმები დარტყმის ქვეშ აყენებს უმაღლესი სასწავლებლის მისიას, სახელსა და იმიჯს სტუდენტებისა და მომავალი თაობების თვალში, საერთო ჯამში კი, მიზნად ისახავს ქვეყნის განათლების სისტემის დისკრედიტაციას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, განმარტების სახით, ცალსახად განაცხადოს შემდეგი და აპელირება გაუწიოს მედიასაშუალებებს იმ ფინანსურ გადაცდომებზე, რაც გარდაცვლილთათვის თუ გაურკვეველ პირთათვის თანხების ჩარიცხვას, ასევე, უნივერსიტეტის კუთვნილ ავტოსატრანსპორტო საშუალებების საწვავით უზრუნველყოფას ეხება.

როგორც ერთ-ერთი ტელეკომპანიის ეთერში გასულ სიუჟეტში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კანცლერმა თემის კომენტირებისას ღიად აღნიშნა, უნივერსიტეტში ნამდვილად მოქმედებდა ადამიანთა ჯგუფი, რომელიც, თაღლითური სქემების საშუალებით, უნივერსიტეტის კუთვნილ თანხას ითვისებდა. საგულისხმოა, რომ უნივერსიტეტის სტრუქტურულმა ერთეულებმა - საფინანსო დეპარტამენტმა და შიდა აუდიტის სამსახურმა, გატარებული ღონისძიებების შედეგად თვითონ გამოავლინეს უნივერსიტეტის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების თაღლითურად მითვისების ფაქტი, რის თაობაზეც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნით, დაუყოვნებლივ მიმართა ქ. თბილისის პროკურატურას და მას მოკვლეული დოკუმენტაცია გადასცა.

ფაქტთან დაკავშირებით, თბილისის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველომ დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა საქართველოს სისხლის სამართლის სსკ-ის -180 მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. სისხლის სამართლებრივი დევნის დასრულების შემდეგ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ გამამტყუნებელი განაჩენი 15 პირის მიმართ გამოიტანა, ხოლო რამდენიმე პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა დღესაც მიმდინარეობს. საგულისხმოა ისიც, რომ საზოგადოების ინფორმირების მიზნით, უნივერსიტეტის მიერ გამოვლენილი თაღლითური სქემისა და მასთან დაკავშირებული მოვლენების შემდგომი განვითარების შესახებ ინფორმაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მედიას რეგულარულად აწვდიდა.

საზოგადოებისთვის შესაძლოა, ასევე, სრულიად გაუგებარი იყოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნაში მოხსენიებული ფაქტები, რაც გარდაცვლილთათვის უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან თანხების ჩარიცხვას უკავშირდება, რადგან ამის შესახებ ზოგიერთმა მედიასაშუალებამ მას ბუნდოვანი ინფორმაცია მიაწოდა. საუბარია გარკვეულ სახელფასო სარგოზე, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე ერიცხება უმაღლესი სასწავლებლის წინაშე ათეულობით წლების მანძილზე განსაკუთრებული სამეცნიერო-პედაგოგიური დამსახურების მქონე პირს - პროფესორ ემერიტუსს, რომელსაც, როგორც წესი, აღნიშნული წოდება უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით ენიჭება.

გვსურს საზოგადოებას განვუმარტოთ, რომ ემერეტუსის წოდების მქონე გარდაცვლილ თანამშრომლებზე სახელფასო სარგოს დარიცხვა და აღნიშნულთან დაკავშირებული ფრიად უხერხული სიტუაციების წარმოქმნა აიხსნება იმით, რომ კუთვნილი სახელფასო სარგო ირიცხებოდა გარდაცვალების ფაქტის შესახებ უნივერსიტეტში ცნობის მოსვლამდე. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ემერიტუსთა გარდაცვალების ფაქტების გამოვლენის შემდეგ, დაუყოვნებლივ მოხდა ჩარიცხული თანხის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიუჯეტისთვის დაბრუნება. მეტიც, საკითხის დარეგულირებისა და უხერხულობის თავიდან აცილების მიზნით, სტუ-ის კანცლერმა, ჯერ კიდევ 2020 წელს, ოფიციალურად მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, გადასცა სტუ-ის ემერიტუსთა მონაცემები და უწყებისგან უნივერსიტეტის დროულად ინფორმირება ითხოვა, რათა შემდგომშიც, დადასტურებული ინფორმაციის არარსებობის გამო, არ მომხდარიყო გარდაცვლილ პირებზე თანხის დარიცხვა, რაზედაც უნივერსიტეტმა სააგენტოსგან თანხმობა მიიღო.

რაც შეეხება უნივერსიტეტის კუთვნილ ავტოსატრანსპორტო საშუალებების საწვავით უზრუნველყოფას, დღეის მდგომარეობით, სტუ-ის ბალანსზე რიცხული ავტომანქანებისთვის დადგენილია საწვავის ყოველთვიური მკაცრი ლიმიტები, რომელთა გაცემა ხდება ყოველთვიურად, უნივერსიტეტის კანცლერის ბრძანების საფუძველზე. გარდა ამისა, საწვავის ხარჯვის კონტროლი ხორციელდება ყოველდღიურად, კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანიის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით, რომელზეც წვდომა აქვს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის მართვის, უსაფრთხოებისა და ლოგისტიკის დეპარტამენტს. აღნიშნული დეპარტამენტი კი, საწვავის მოხმარების შესახებ დამუშავებულ ინფორმაციას უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტს გადასცემს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი იცავს გამჭვირვალობის პრინციპებს და მზად არის, არგუმენტირებული დიალოგისა და ობიექტური პოლემიკის ფორმატში, ღიად ითანამშრომლოს ორგანიზაციებთან, არასამთავრობო სექტორთან, სამოქალაქო საზოგადოებასა და მედიასთან, ამასთან ერთად, იმედს იტოვებს, რომ საზოგადოება ობიექტურად შეაფასებს უნივერსიტეტის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას“, - აღნიშნულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სპეციალურ განცხადებაში.

ამირან ბურიელიძე

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომცემელი რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
® ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზელი აჯარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოროვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 7/06/23, 20 ⁵⁵ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ბათუმი მსოფლიო ჩემპიონატს მასპინძლობს

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმი მაღალი დონის ღონისძიებას მასპინძლობს - საქართველოსა და აჭარის ჭადრაკის ფედერაციების ორგანიზებით, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სპორტის დეპარტამენტის, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის, რეგიონის სრული მხარდაჭერით, მსოფლიო ჩემპიონატი უკვე მიმდინარეობს სწრაფ ჭადრაკში 8, 10, 12, 14, 16 და 18 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის, ელვისებურ ჭადრაკში კი მონაწილეები 10 ივნისს მიუსხდებიან დაფებს

ჩემპიონატში 35 ქვეყნის 459 სპორტსმენი მონაწილეობს. საქართველოდან, როგორც მასპინძელი ქვეყნიდან, 120 მოჭადრაკე ასპარეზობს, აქედან 22 აჭარის წარმომადგენელია. ბავშვების მთავარი მსაჯია მარიკა ჯაფარიძე (საქართველო, ბათუმი), უფროსი ასაკის მოჭადრაკეებისა - აშოტ ვარდაპეტიანი (სომხეთი).

6 ივნისს ჩემპიონატის ოფიციალურად გახსნას დაესწრნენ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, ქალაქ ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტიტე არაშიძე, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი აკაკი იაშვილი, მისი პირველი ვიცე-პრეზიდენტი გია გიორგაძე, აჭარის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი სალომე მელია.

- მოგესალმებით, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება საქართველოში, ბათუმში. დიდი მადლობა ამ ნდობისთვის, ჩვენი ქალაქი ყოველთვის მზად არის უმასპინძლოს ასეთ მასშტაბურ ღონისძიებებს. მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოსა და აჭარის ჭადრაკის ფედერაციების ხელმძღვანელებს. აჭარის მთავრობის სახელით გეტყვით, რომ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ თქვენი აქ ყოფნა იყოს დაუვიწყარი. წარმატება მინდა ვუსურვო თითოეულ თქვენგანს, - აღნიშნა მაია ხაჯიშვილმა.

- მადლობა მინდა ვუთხრა მსოფლიო ჭადრაკის ფედერაციას, ასევე საქართველოსა და აჭარის ჭადრაკის ფედერაციებს ასეთი მასშტაბური ღონისძიების აქ ჩატარებისთვის. მინდა გაუწყოთ, რომ უკვე გადაწყდა და სულ მალე ბათუმში თანამედროვე სტანდარტების ჭადრაკის სასახლე გვექნება, რომელიც დაამშვენებს ქალაქს. ამ სპორტულ სივრცეში შესაძლებელი იქნება მოჭადრაკეების მასპინძლობა, ნებისმიერი მაღალი დონის ღონისძიების ჩატარება. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო აჭარის მთავრობას, პირადად თორნიკე რიჟვაძეს, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებაში დიდი მხარდაჭერისთვის, - თქვა არჩილ ჩიქოვანმა.

- ჩვენთვის დიდი პატივია საქართველოში, კერძოდ, ბათუმში ასეთი ღონისძიების მასპინძლობა. მადლობას ვუხდი ყველას აქ ჩამობრძანებისთვის. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის, საქართველოს მთავრობის მხარდაჭერითა და აჭარის მთავრობის მაქსიმალური თანადგომით, თითოეულ თქვენგანს საშუალება ეძლევა, გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობა. მოჭადრაკეს სწრაფ ჭადრაკში 15 წუთი, ელვისებურში კი 5 წუთი ეძლევა, შესაბამისად, ჩვენმა მოჭადრაკეებმა ძალიან მოკლე დროში უნდა მიიღონ სწორი გადაწყვეტილება. ვუსურვებ თითოეულ მათგანს წარმატებულ თამაშს და მაღალი სინჯის მედლების მოპოვებას. რა თქმა უნდა, ძალიან გაგვახარებს ჩვენი, ქართველი მოჭადრაკეების წარმატება, - აღნიშნა აკაკი იაშვილმა.

მოჭადრაკეებს წარმატება უსურვეს აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტიტე არაშიძემ, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა გია გიორგაძემ.

„პირველი სვლის“ ცერემონიაზე სტუმრები - მაია ხაჯიშვილი, არჩილ ჩიქოვანი, ტიტე არაშიძე მთავარმა მსაჯმა მარიკა ჯაფარიძემ მიიწვია. საათები ჩაირთო, ჩემპიონატი დაიწყო...

ხუცუბანში გურამ თამაზაშვილის სახელობის სახელოვნებო სკოლა გაიხსნა

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

სახალხო მომღერალ გურამ თამაზაშვილის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბანში მისი სახელობის სახელოვნებო სკოლა საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. ღონისძიებას აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, საქართველოს პარლამენტის წევრი ზაალ მიქელაძე, ქობულეთის მერიის, საკრებულოს, აჭარის განათლების სამინისტროს, სახელოვნებო სკოლის წარმომადგენლები, ასევე მომღერლის ოჯახის წევრები და მეგობრები ესწრებოდნენ

მომღერლის ხსოვნის პატივსაცემად საიუბილეო საღამოც გაიმართა. კოლეგებმა და მეგობრებმა გურამ თამაზაშვილის შემოქმედებითი გზა, მასთან ერთად გატარებული პერიოდები გაიხსენეს. ადგილობრივმა და მოწვეულმა მუსიკალურმა ანსამბლებმა „ალილომ“, „რერომ“, „მხედრულმა“, „ბათუმა“ და სხვა, ყველასათვის ნაცნობი და საყვარელი ქართული სიმღერები შეასრულეს.

- ყველას ვულოცავთ გურამ თამაზაშვილის სახელობის განახლებული მუსიკალური სკოლის გახსნას, რომელიც 1983 წელს დაარსდა, ამჟამად აქ 105 მოსწავლე სწავლობს, გვყავს 20 პედაგოგი და ადმინისტრაციული მუშაკები, - განაცხადა ხუცუბნის სახელოვნებო სკოლის დირექტორმა მერი გოგიტიძემ.

- უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ ჩემი გურამი ასე დაფასდა. ის ქართული, ხალხური, ქალაქური სიმღერების უნიჭიერესი შემსრულებელი გახლდათ. არაჩვეულებრივი პიროვნება იყო. განა მარტო მღეროდა, თითქმის ყველა ინსტრუმენტზეც უკრავდა, - აღნიშნა გურამ თამაზაშვილის დამ ლია თამაზაშვილმა.

გურამ თამაზაშვილი 1954 წლის 5 ივნისს დაიბადა. ჯერ სოფელ სამების, შემდეგ კი ქობულეთის №1 საშუალო სკოლაში სწავლობდა. ეკონომიკური ფაკულტეტი დაამთავრა და წლების განმავლობაში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. 1991 წელს ანსამბლ „ქართულ ხმებში“ მღეროდა, ვისთან ერთადაც მსოფლიო მოიარა. 2002 წელს ჩამოაყალიბა ანსამბლი „ზარები“, რომელიც მოგვიანებით საქართველოს პატრიარქმა აკურთხა. გურამ თამაზაშვილი 2009 წელს 55 წლის ასაკში, მძიმე ავადმყოფობის გამო გარდაიცვალა. იგი მშობლიურ სოფელ სამებაში დაკრძალეს.